

შპს „სტანდარტ ცემენტი“ “STANDART CEMENT” LTD

ქ. რუსთავი, მშვიდობის ქ. №6; ტელ: 599-55-59-43 (595-51-69-29)
ს/კ 416339607 სს „საქართველოს ბანკი“ ა/ა GE76BG0000000100612498
Mshvidobis st. N6, Rustavi, Georgia. Tel: 0341-22-71-70



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
უფროსს ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

ქ. რუსთავში შპს „სტანდარტ ცემენტი“-ს ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების ანგარიშთან დაკავშირებით, თქვენს 2023 წლის 13 თებერვლის N21/870 წერილში მოცემულ დასაზუსტებელ საკითხებთან დაკავშირებით, მოგახსენებთ შემდეგს:

საკითხი 1 - N865 განცხადებაში არსებული ჩანაწერი - „გათვალისწინებული არ არის წისქვილის განთავსება დახურულ შენობაში, რაც კიდევ უფრო შეამცირებს ხმაურის გავრცელების დონეებს“ გაუგებარია და საჭიროებს დაზუსტებას;

პასუხი: შენიშვნა გათვალისწინებულია: გზმ-ს ანგარიშში მოცემული გაანგარიშების შედეგების მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში უახლოესი საცხოვრებელი ზონის საზღვარზე ხმაურის გავრცელების მაქსიმალური დონეები არ გადაჭარბებს 35 დბა-ს. მაგრამ უნდა აღნიშნოს ის ფაქტიც, რომ წისქვილი განთავსებული იქნება დახურულ შენობაში, რაც კიდევ უფრო შეამცირებს ხმაურის გავრცელების დონეებს და საცხოვრებელი ზონის საზღვარზე ხმაურის გავრცელების დონე არ იქნება 30 დბა-ზე მაღალი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ „საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს N398 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი ხმაურის გავრცელების დონე ღამის საათებისათვის შეადგენს 40 დბა-ს, ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებული ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელია არ არის.

საკითხი 2 - როგორც სააგენტოს N21/19 წერილით გეცნობათ, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემულია იმ მიმდებარე საწარმოების ჩამონათვალი, რომელთა გაფრქვევებიც ფონის სახით გათვალისწინებულია ატმოსფერულ ჰაერში მანვნი ნივთიერებათა გაზნევის კომპიუტერულ მოდელირებაში. თუმცა, გზმ-ის ანგარიშის თავში 6.11 (კუმულაციური ზემოქმედება) აღნიშნულია, რომ „როგორც აუდიტის პროცესში დადგინდა შპს „სტანდარტ ცემენტის“ მიმდებარე 500 მ-იანი ნორმირებული ზონის ფარგლებში არსებულ საწარმოებში მტვრის გავრცელების სტაციონარული წყაროები წარმოდგენილი არ არის.“ გზმ-ის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია ურთიერთსაწინააღმდეგოა და საჭიროებს დაზუსტებას, თუმცა დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას არ მოიცავს.

პასუხი: შენიშვნა გათვალისწინებულია: კუმულაციური ზემოქმედების შეფასების პარაგრაფის განახლებული ვერსია თან ერთვის წერილს (იხილეთ დანართი 1).

საკითხი 3 - ამასთანავე, სააგენტოს N21/19 წერილში მითითებულია არატექნიკურ რეზიუმეში საწარმოს მიმდებარე ობიექტების ჩამონათვალი შპს „ნიკა 2004“-ის განხილვის საკითხი, რაც N865 განცხადებაში განმარტებულია, რომ არატექნიკური რეზიუმე არ საჭიროებს გზმ-ის

ანგარიშში მოცემული ინფორმაციის სრულად გადმოტანას. აღნიშნულ საკითხზე N865 განცხადებით წარმოდგენილი პასუხი დაუსაბუთებელია. გარდა ამისა, არატექნიკურ რეზიუმესა და გზშ-ის ანგარიშში მოცემული სიტუაციური სქემები არ შეესაბამება ერთმანეთს, რაც საჭიროებს დაზუსტებას;

პასუხი: შენიშვნა გათვალისწინებულია: არატექნიკური რეზიუმეს კორექტირებული ვერსია თან ერთვის წერილს (იხილეთ დანართი N2).

საკითხი 4 - როგორც სააგენტოს N21/19 წერილით გეცნობათ, გზშ-ის ანგარიშის თავში 6.11 (კუმულაციური ზემოქმედება) განხილულია მხოლოდ საწარმოს საზღვრებში არსებული დანადგარების ფუნქციონირებით გამოწვეული ხმაური და არ არის გაანგარიშებული საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, 500 მ-იან რადიუსში არსებული ობიექტების გათვალისწინებით ხმაურით გამოწვეული კუმულაციური ზემოქმედება. აღნიშნულთან დაკავშირებით N865 განცხადებაში განმარტებულია, რომ სხვა მიმდებარე საწარმოების გათვალისწინებით ხმაურით გამოწვეული კუმულაციური ზემოქმედების რეალური შეფასება ნაკლებად შესაძლებელია და მოყვანილია ვარაუდით ნაგულისხმევი ხმაურის დონეები. გზშ-ის ანგარიშში განხილული უნდა იქნას ხმაურით გამოწვეული კუმულაციური ზემოქმედება 500 მ-იან რადიუსში არსებული ობიექტის გათვალისწინებით და შესაბამისი გაანგარიშებით და დასაბუთებით;

პასუხი: შენიშვნა გათვალისწინებულია: წერილს თან ერთვის კუმულაციური ზემოქმედების შეფასების პარაგრაფის განახლებული ვერსია (იხილეთ დანართი N1).

საკითხი 5 - წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაციის თანახმად, საწარმოს ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება პროექტით გათვალისწინებული 4 ერთეული 120 მ³ ტევადობის 4 სილოსის ნაცვლად მოაწიოს 2 ერთეული 240 მ³ ტევადობის სილოსი. გარდა ამისა, დამატებით ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ „2 ერთეულით შემცირდება გაფრქვევის წყაროების რაოდენობა, რაც გამოწვეულია ახალი მოსაწყობი სილოსების რაოდენობის შემცირებით.“ ვინაიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში 120 მ³ მოცულობის 4 სილოსი განხილულია გაფრქვევის ერთ წყაროდ (გ-8), აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას. ასევე, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილ უნდა იქნას საქმიანობასთან შესაბამისობაში მოყვანილი, კორექტირებული ზღვრის ნორმების პროექტი, სადაც გათვალისწინებული იქნება ცვლილების ფარგლებში არა ოთხი 120 მ³, არამედ ორი 240 მ³ მოცულობის სილოსი;

პასუხი: შენიშვნა გათვალისწინებულია: წერილს თან ერთვის, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი (იხილეთ დანართი N3). რაც შეეხება გაფრქვევის წყაროების ცვლილებას, 4 ერთეული 120 მ³ მოცულობის სილოსის ნაცვლად 2 ერთეული 240 მ³ ტევადობის სილოსის მოწყობა, გაფრქვევის წყაროების რაოდენობის შემცირებასთან დაკავშირებული არ იქნება.

საკითხი 6 - როგორც სააგენტოს N21/19 წერილით გეცნობათ, დაზუსტებას საჭიროებდა ინფორმაცია ტერიტორიაზე უკვე ჩატარებული სამუშაოების შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით N865 განცხადებაში მითითებულია, რომ დღეისთვის ახალი წისქვილისათვის გათვალისწინებული შენობა-ნაგებობებისთვის მოწყობის სანუშაოები პრაქტიკულად დამთავრებულია და მიმდინარეობს წისქვილის სამონტაჟო და გაშვება-გამართვის სამუშაოები, ასევე 2 ერთეული 240 მ³ ტევადობის სილოსის მოწყობის სამუშაოები.“ ვინაიდან, ქ. რუსთავში შპს „სტანდარტ ცემენტის“ ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტზე სააგენტოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ჯერ არ გაცემულა, ზემოაღნიშნული ჩანაწერი სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ საჭიროებს დაზუსტებას.

პასუხი: დღეისათვის ახალი წისქვილისათვის გათვალისწინებული შენობა ნაგებობების მოწყობის სამუშაოები პრაქტიკულად დამთავრებულია და მიმდინარეობს წისქვილის სამონტაჟო და გაშვება-გამართვის სამუშაოები. დღეისათვის მტვერდამჭერი ფილტრი გამოსავალზე დამონტაჟებულია უწყვეტი მონიტორინგის სისტემა. ასევე მიმდინარეობს 2 ერთეული 240 მ³ ტევადობის სილოსების მოწყობის სამუშაოები.

აღსანიშნავია, რომ საწარმო დღეისათვის ექსპლუატაციაში გაშვებული არ არის.

წერილს თან ერთვის:

- კუმულაციური ზემოქმედების შეფასების პარაგრაფის განახლებული ვერსია - 1 ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია;
- საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი - 2 ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია;
- გზშ-ს ანგარიშის არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია.

პატივისცემით,

ჯიმშერ ფოფხაძე

შპს „სტანდარტ ცემენტი“-ს

დირექტორი

